ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.05.2018
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/18

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა ადმინისტრაციულ საქმეზე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა მიიღოს მონაწილეობა? ასეთ შემთხვევაში, ხომ არ დაარღვევს ადვოკატის პროფესიულ ნორმებს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ეთიკის კომისიამ, 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე #017/11, მიიჩნია, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს და აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში.“

საქართველოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 04 მაისის შემდგომ, ამოქმედდა ახალი ცვლილებები, მათ შორის კანონის მიხედვით გაიწერა, რომ ნებისმიერი სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს აქვს უფლება ადმინისტრაციულ საქმეზე წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები, მათ შორის გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია. ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუქნტში აღნიშნულია: „ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეთა, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს”

დასკვნა:

ადვოკატს, მიუხედავად მისი სპეციალიზაციისა უფლება მაქვს მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და შესაბამისად, აღნიშნული ქმედების განხორციელება არ წარმოადგენს ეთიკური ვალდებულების დარღვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.